

მეცნიერება



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიბარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლკ. 15—4.
მოველით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 12

1883—1905

30 ივნისი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიბერატორი განყოფილება: საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება უწინ და ესლა. — იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა მე-45 კრება ქ. ქუთაისში 16 მარტს, დამსწრესი, დღევანდელი საკრებოებანი. — უარის თქმა თანამდებობაზე. — რა ბედი მოეღოს პრესას? — ეურნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მიცნობაჲ ქრისტიანობის სარწმუნოებას და კათოლიკეობაჲ: ენება უფლისა ჩვენისა სსო ქრისტესი, მღ. პ. კაპანაძისა. — განცხადება.

საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება უწინ და ესლა.

(გაგრძელება*)

სამღვდლოება იყო აღმზრდელი სამეფო ოჯახის შვილთა, დარბაზის ერთა, თავადთა და გლეხთა. ამიტომ მეფენი, თავადაზნაურნი და გლეხნი ღრმად მორწმუნე ქრისტიანე იყვნენ, ქრისტიანობისათვის თავდადებულნი, ბევრი მათგანი ეწამა და დაიტანჯა სამშობლოს გულისთვის: წმ. მეფე მირდატი (408 წ.)

წმ. მეფე ვახტანგი (499 წ.) წმ. ესტატე, წმ. რაფელნი, წმ. არჩილი, წმ. შუშანა, წმ. აშოთი, წმ. შალვა ახალციხელი, მთწ. დიმიტრი თავდადებული, წმ. ანა დედოფალი, წმ. იოთამ ზედგინიძე, წმ. ლუარსაბი I, წმ. სიმონი, წმ. ლუარსაბი II, წმ. თევდორე იყალთოელი, წმ. დოსითეოს ტფილელი ო სხ. მათ ხსენებას არ იფიწყებს ქარველი ერთი. — ამნაირად, სამღვდლოების მეოხებით საქართველოს ეკლესია გარდაიქცა ქართველთა ეროვნების ბურჯად, რომლის მუღმივი მცველი და თავგამოდებული მზარველი-მქადაგებელი შინ და გარეთ სამღვდლო-

* იხ. „მწყემსი“ № 11, 1905 წ.



ება იყო უკანასკნელ დრომდე: მან შეიმუშავა და დღემდე შეინარჩუნა ქართველ ერის მდიდარი სამშობლო ენა, მიწა-წყალი, საკუთარი ენაობა და საეროენო ელფორა. ქართველი ერი კარგად ჰხედავდა სამღვდლოების ქირიანბულობასა და ამავს, და მადლიანად უზღიდა სამაგიეროს: ყველა მოწაფურსა ღ ტაძრებს უხვად სწირავდა მდიდარ მამულ-დედულსა — მთა-ბარსა, სახან-სათესსა, საძოვარსა, წისკილეებსა, ვენახებსა, ივარაკებსა, მთელ სოფლებსა ღ ციხე-სიმაგრეებსა. იი ამ შეწირულებათა შემოსავლით სახროდებდა სამღვდლოება ღ ტაძრებიც ინახებოდნენ: ეხლანდელით მიძიდ ტვირთად არ აწევა კისერზედ ქართველ ერს სამღვდლოების და ეკლესიების შენახვა. პირიქით, ეკლესიების მოქარბებულს ქონებას სამღვდლოება ახმარებდა ობოლ-ჭკრივთა, გლახაკთა გამოზრდასა ღ ნუგეშის ცემასა, ჰმართავდა სნულთათვის ქსენონებსა, აშენებდა და განავებდა ყრმათა სასწავლო სახლებსა და სხ. სამღვდლოება იყო მფარველი ყოველნარი ხელოვნებისა: საუკეთესო მასწავლებლენი მოძღვარნი და აღმზრდელნი, ხუროთ მოძღვარნი, მხატვარნი, მწერალ-მწიგნობარნი, მომღერალ-მგალობელნი, დურგალ-ხარატნი, კლატოხნი, მკრელ-მკერვალნი, მხენელ-მთესველნი, რკინა-ოქროს მკედელნი, ზარქარნი, საწერ ტყავის მკეთებელნი, წიგნთა მკაზმეანი და სხ.—ყველა ამ და სხ. ხელოსნობას ოსტატნი და საუკეთესო წარმომადგენლენი თვით სამღვდლონი იყვნენ. ამიტომ ჩვენს დიდს მონასტრებში გამართული იყო — სადურგლო-სახარატო, სამქედლო, სამკერვალო, სამხატვრო-სამწერლო და სხ. სახლები, სადაც ყველა ხელოსანი ბერი თავის ხელობას ასწავლიდა ქართველს ახალგაზრდობასა. ამავდროს არც სამღვდლოება დიდის გულმოდგინებით ასრულებდა თავის მოვალეობასა და საუკეთესო მკითხველობას, მწირველ-მლოცველობასა და გლობას დიდი ფასი ედო საქართველოში; თვითოველი სამღვდლო პირი ცდილობდა ღირსი შექნლიყო თავის საქმეში და კარგათ დახელოვნებულიყო სამშობლოს წმინდა სამსახურისათვის. თავდა-აზნაურთა საგვარეულონი და სოფლის საზოგადოებანი, მღვდელმთავარნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ეცილებოდნენ — ვის უფრო უკეთესი ნასწავლი სამღვდლო პირი ჰყოლოდა თავის ეკლესიაში მწირველ-მლოცველად. ყველა საგვარეულო ზრუნავდა თავის წარმომადგენელი აღეზარდა კარ-

გის ოსტატის ხელში და საკუთარი მლოცველ-მადგერებელი ჰყოლოდა საყდარში. ამიტომ ყველა ახალგაზდა მოსწავლე ბეჯითად შრომობდა, დღე-ღამეს სწავლაში ატარებდა და ამ შრომის უაღვლეობა, ამხნევება იმედი საპატიო იერარქიული ხარისხის მიღებისა. ამიტომ კათალიკოზებსა და მღვდელმთავრებს უფრო მეფესა და თავდა-აზნაურთა შემძლე გვართავან ირჩევდენ ხოლმე. სამღვდლოებამ შექმნა განსაკუთრებული საგალობელთა სხ. და სხვა კილოები, სახარების წაკითხვისა, სამოციქულოის, საწინასწარმეტყველოის, დასდებლისა, წარდგომებისა, პარაკლისის ლოცვისა, აამაღლებლებისა და სხ. ამ ოცდა-ხუთის წლის წინად მოსკოვის აკადემიაში აღდგომის დღეს სახარება წაკითხეს სხვა და სხვა ენებზედ — სლავიანურათ, ბერძნულად, ლათინურად, სერბულ-ბოლოგარულად, გერმანულად და ქართულად. ბოლოს სიტყვა ჩამოვარდა პროფესორ-სტუდენტთა შორის, თუ რომელს ენაზედ უფრო სასიამოვნო მოსასმენი იყო სახარების კითხვა, ღ ყველამ ერთმანდ მოიწონა ქართულად წაკითხვის კილო. ამის შემდეგ რაღათ უნდა გვიკვირდეს, თუ ქართულის დიადის კულტურის შემქნელი და მფარველი უმთავრესად სამღვდლოება იყო და ამიტომ ისე საყვარელი და პატივცემული იყო ყველგან საქართველოში? რაღად უნდა გვიკვირდეს, თუ ესრეთ სახელოვანმა სამღვდლოებამ უაღრეს მწვერვალამდე აღაფრთოვანა საქართველოში სარწმუნოებრივი გრძნობა და საუკუნეთა განმავლობაში სახელოვანდ აბრძოლა ქართველობა ველურ მტრებთან? რაღად უნდა გვიკვირდეს, თუ სახელოვანმა მღვდელმთავრებმა და სამღვდლოებამ აღზარდეს სახელოვანი მღვდნი, დელოფანნი და მამულის-შვილნი, რომელთაც აღიდეს თავისი სამშობლო და თავი შესწირეს ქართველთა საეროენო სოცოცხლესა? განა ათი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი არ იყო ერთად-ერთი თავგამოდებული მფარველი მკირე-აზიის ქრისტიანეთა, ერთად-ერთი შეუპოვარი მოპირდაპირე მოსისხლე სპარსეთისა, ოსმალეთისა და დაღისტანისა? ახლა დროა ვიკითხოთ — რა იდუმალი ძალა ამოქმედებდა სამღვდლოებსა ასე სასიქადულად? — რა თქმა უნდა, სამღვდლოების თვით-მოქმედების სურვილის ჩამდგმელი იყო საკუთარი კათალიკოზი და თავისუფლება ეკლესიისა. წარსული საუკუნის დამდგეს რომ ისტორიის მანქანებამ ქართველთა




პოლიტიკური თვითარსებობა შეაყენა, იმ სავალალო დროს, მართალია, სამღვდლოება ისევ ძლიერი იყო, კიდევ დიდხანს შეეძლო სიოცხლე, მაგრამ ისევ ისტორიის მანქანებამ სძლო ტ დასაუსტა. 1801 წ. საქართველოში იჯდა კათალიკოზი ანტონი II, მეფე ერეკლეს ძე. იმ დროსვე განაგებდნენ თავისს სამწყსოს მღვდელთმთავარნი—მცხეთისა, თბილისისა, ბოდბისა, რუსთველი, ალავერდელი, წილკნელი, სამთავნელი, უბნელი, მროველი, ნიკოზელი, ნინოწმიდელი, ხარქაშნელი, ახტალელი, ცაგერელი, გენათელი, ნიკორწმიდელი, ქუარდიდელი, ცაგერელი, ხონელი, ჯუმათელი, შემოქმედელი და სხ. ქართველი ერი ყოველ უქმედღესასწაულს ღღებში იხმენდა მღვდელთმთავართა აზრით სავსე ქადაგებასა, მათ მადლით მოსილს წირვა-ლოცვისა და ერიც ავი ძლიერი იყო სულიერადაც. ივინი, მღვდელთმთავარნი კათალიკოზიანათ საქმარისს შემოსავალს იღებდნენ, თავისთვის კმაყოფით სცხოვრებდნენ და არავის დახმარებას არ საქიროებდნენ.

იმ დროს კათალიკოზს შემოსდიოდა წელიწადში: 1,800 მან., 1,700 კოდი პური, 225 საბალნე ღვინო. ალავერდს შემოსდიოდა წელიწადში: 1700 მ. 1040 კოდი პური, 170 საბალნე ღვინო და სხ. ეს ცნობები ახალმა მთავრობამ მოსთხოვა სამღვდლოებასა და, რა თქმა უნდა, ნაკლებია ნაჩვენები. 1815 წ. მცხეთის სვეტიცხოვლის შემოსავალი იყო: 4550 მან. 63 კაბ., 1906 კოდი პური, 520 კოდი ქერი, 534 საბალნე ღვინო და სხ.

კათალიკოზი და მღვდელთმთავარნი რომ ჩვეულებრივ განაგებდნენ თავის სამწყსოს და ეკლესიას, ამ დროს გარუსებული ციციშვილი ჩვერია ზთ საქმეში—„ლიაკენები თხასავით კიკინებენ საყდრებშია და რუსულის გალობის მსგავსად მოაწყეთ ეს საქმეო...“ ამა და ამ ადგილზე ჩემს დაუკითხავად ათივენი დანიშნოთ, თორემ იმპერატორს მოვახსენებო“, და სხ.

ციციშვილი სახელოვნად იმარჯვებდა საეკლესიო საქმეებში და მისის მოხერხებით ნელ-ნელა დაიხურა სამღვდელთმთავრო კათედრები. საუკუნეთა განმავლობაში მეფეთა და თავად-აზნაურთაგან შეწირულნი ოქრო-ვერცხლის მრავალი საგანძური ამოიტანეს ტფილისში და ნაწილ-ნაწილად დაყიდეს აზარო ვაჭრობით (ტორგით). დაიხურა 2 სტამბა, არი სემინარია, მონასტრები, სასწავლებლები, სა-

დაც სამშობლო ენაზედ ასწავლიდნენ—ლეთის-მეტყველებას, ფილოსოფიას, ისტორიას, რიტორიკას, გეოგრაფიას, ანგარიშს და სხ. საუკეთესო სამღვდლო პირები რუსეთისკენ გაისტუმრეს, მღვდელთმთავრებც რამდენიმე კით გაგზავნეს. მთელი სამღვდლოება შეძრწუნდა. თვით მშვიდი და კეთილი კათალიკოზი ანტონი II განზორბულ ექმნა თავის შეტკობილ სამწყსოვან და თექვსმეტის წლის შემდეგ დალია ვნებული სული ნიეგვოროდში. დაინიშნა ექსარხოსად რუსთაგანი თეოფილაქტე*) და მწყრივ-მწყრივად გამოეპართნენ რუსის მოხელეებიც სასულიერო გამგეობისათვის...



*) ჰირველი ექსარხოსი რუსთაგან, რომელიც საქართველოში დაიხიზნა, იყო თეოფილაქტე (რუსთაგანი). ეს მღვდელთმთავარი ძღაერ განათლებული და მჭკვერმე-ტყველი კაცა იყო. ერთ დროს აგი ჰეტეროდოქსად იცნა ოთხ საათის განმავლობაში იყო გამოსტუმრებული ნაენი ნოვგოროდში, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ სინოდამ ექსარხოსად გამოსტუმრა საქართველოსკენ. საქართველოში მთავიდა 1818 წ. და უკვლას აკრძალა თავისი მამართულება. ქუთათელი—გენათელი 1820 წ. რუსეთში გადასახდა. ქუთათელი სურამში გარდაიცვალა და ხანურის ეკლესიაში დამარხეს. ზოგიერთნი სასულიერო ჰარნი თვალისის გუბერნიადამც გაისტუმრა, მაგრამ თვითონაც მალე გარდაიცვალა კახეთში რევიზიის დროს და ბოდბეში დასაფლავდა. თეოფილაქტეს შემდეგ თერთმეტი ექსარხოსი იყო უკვლას რუსთაგანი. ეს ღა როგორც ისმის ინაშნება მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი ვოლინის ეპარქიის ეპისკოპოსი, რომლის ადგილზე ექსარხოსი ალექსი გილაყავთ. ანტონი გვარად (ხრამოვიცა) განათლებული კაცა და ახალგაზრდა. ის დიდხანს მსახურებდა მისკოვანს და უახანის აკადემიის რექტორად. ჰირველად ეპისკოპოსად დანიშნეს უფიშის ეპარქიაში და იქიდან გადაიყვანეს ვოლინის ეპარქიაში.



ჩინათვის ეპარქიის სამღვდლოების დავუბარბ-
თა 80-45 ქანაბა ქ. მუთაისნი 16—22 მარტს.

(გაკრძეკუა*)

22 მარტს ცხრა საათზე გაიხსნა თუ არა სხდომა თავსმჯდომარემ მოახსენა კრებას შემდეგი სიტყვა: „კრებას მოესხენება კარგად, რომ არა ერთჯერ აღუძრავს კითხვა წინა კრებებზე სამღვდლოების თავისთვის ორგანოს დაარსების შესახებ. თუ როდისმე იყო საჭირო სამღვდლოებისათვის საკუთარი ორგანო დღეს ამისთანა ორგანოს არსებობა დიდი მიუცოლებელ საჭიროებას შეადგენს. მოვეხსენებით კარგად, რომ დღეს სამღვდლოების ღანძღვა-გინება ზოგიერთ რედაქციებს რალაქა საქებრად მიანათ და ის არის უნედურობა, რომ რა პასუხიკ უნდა გასცეთ მათ, არ დაგიბეჭდვენ. მე მოველაპარაკე დეკ. დავით ღამბაშიძეს, რომ დავთმო მისი ორგანო «მწყემსი» სამღვდლოებისათვის. მას ამ წინადადების ასრულებისათვის უარი არ უთქვამს. დღეს დეკ. ღამბაშიძეც აქ იმყოფება და ვგონებ, თუ თქვენც ისურვებთ, ვაღმოგვეყენს თავის ორგანოს სტამბით. მე დარწმუნებული ვარ სამღვდლოება უმჯობესად(!) ზ უფრო ადვილად წაუძღვება საქმეს; ამასთან საკუთარს ორგანოს და სტამბას დიდი დახმარება შეუძლია სამღვდლოებისათვის“.

თავსმჯდომარის წინადადება მთელმა კრებამ მიიღო და სთხოვეს დეკ. დ. ღამბაშიძეს სამღვდლოებისათვის გარდაეცა თავისი ორგანო სტამბით, რომლისთვის მთელი კრება მზად იყო დიდი მადლობა გამოეცხადებოდა მისთვის.

დეკ. დ. ღამბაშიძე. „დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, პატიცემულნიო მამანო დეპუტატნიო, რომ როცა ჩვენ 1883 წელში პირველად ორგანოს დაარსება განვიზრახეთ, ჩვენი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ჩვენის ორგანოთი დახმარება გაგვეწია ჩვენ თანამოქმეთაოვის და ქართველ საზოგადოებაში გავვევრკელებინა სალიტერატურო და ზნობით ქრისტიანული სწავლა-მეცნიერება. დღიდან ორგანოს დაარსებისა დღემდის არაფერი არ დაგვიზოგავს, რომ ჩვენის გამოცემით შეძლებისა დავგარდ დახმარება გაგვეწია ყველასათვის. პირველ მეთაურ წერილში ჩვენ ვწერდით სხვათა შორის: მრავალი

მიზეზები, რომელნიც ხალხის წარმატების და წინ წასვლის საქმეს ხელს უშლიან ზღ დიდხანს აჩერებენ მის ერთ წერტილზედ. აგრეთვე მრავალი მიზეზების წყალობით მოხდება ზოლზე ხალხის განეზობად და ზნობითად წინ-ბიჯის წადგმა და წარმატება. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ისე არაფერი არ ეხმარება ხალხის კეთილ წარმატებას, მის ზნობითად და განეზობითად ამაღლებასა და მის კეთილდღეობას როგორც ბეჭდვითი სიტყვა, — მის და სხვა დრო-გამოშვებითი სალიტერატურო გამოცემები. განათლებულ ქვეყნებში ყოველ თემს, ყოველ წოდებას და თითქმის ყოველ უწყებას აქვს თავისი ორგანო, ჟურნალ-გაზეთები, რომლის საშუალებით ერთი ასწავლის, მეორე სწავლობს, მესამე ხელმძღვანელობს, მეოთხე ბძაძეს და ასე ყველა სარგებლობს. ერთს უკავია დროში ხელში და მიღის წინ, სხვანი მიტყევიან უკან და ერთად ეომებიან უგუნურებს, სიბნელეს, უსამართლობას, უზნეობას და სხვა-და-სხვა კაცობრიობის დამამცირებელ მოვლენათა...“

სასულიერო წოდებამ პირველად არ მიაქცია ხალხის განეზობით მოძრაობას ყურადღება. წმინდანი მამანი და მოძღვარი ეკლესიისანი უფრო ეთმებოდ და ითხოვენ მოძღვრათა და სარწმუნოების მქადაგებელთაგან სიწმიდესა და კეთილ-მსახურებასა, ვიდრე ხორციელსა განათლებასა და სწავლა-მეცნიერებასა. უმაღლესი სასულიერო მთავრობაც ამ თვისებას უფრო მოითხოვდა სარწმუნოების მქადაგებელთაგან. ამისათვის სამღვდლოებისაგან მაინც(ა-და-მაინც დიდ სწავლას არ ითხოვდა. მაგრამ ამ უყურადღებობამ, ცოტა არ იყოს ცუდი ნაყოფი მოიტანა, ცუდი შედეგი მოჰყვა: ცხოვარმა თავისი მწყემსის სიტყველარ იქნო და წავიდა ისეთ მხარეს, სადეთაც დიდი ხრამი ვადასაგარდნი. ველარ იქნა თავისი მწყემსი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ზღ ცდილობს თავისი სული დასდვას ცხოვართათვის...“

მადლობა დმერთსა, მალე მიაქციეს ყურადღება ამ შეცდომილების გასწორებას. დღეს სასულიერო წოდებაც თავის მხრით ცდილობს ყველა ღონის მიებას, ღირსეულად შესარულოს თავის დანიშნულება და მიზანი. ამ ღონისძიებათა შორის პირველი აღვლილი უკავია სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა რიცხვმა ამ ბოლო დროს ძველ დროსთან შედარებით ძლიერ მოიმატა. ეს ჟურნალ-გაზეთები

*) იხ. „მწყემსი“ № 9—10 1905 წ.



დიდად ეხმარებიან სარწმუნოების მკადაგებელთა და მოძღვართა თავის მოვალეობის აღსრულებაში, თავის სამწყსოს კეთილად დამწყსებაში და საზოგადოდ ყველა ქრისტიანთა აძლევენ სულიერსა საზრდოსა. ძნელად ნახათ მთელს რუსეთში, რომ ყოველ ეპარხიის სამღვდლოებას თავისი ორგანო, ყურანალი ან გაზეთი არ ჰქონდეს...

მაგრამ მხოლოდ ჩვენ, სამწუხაროდ, საქართველოს სამღვდლოება ზ ხალხი ვართ გამოსხვებული ყველა სამღვდლოებათა და ხალხთაგან, რომელთაც არ გვაქვს არც სასულიერო-სალიტერატურო გაზეთი და არც ყურნალი. ის სამღვდლოება, რომელიც ძველ დროში მალა იღვა გონებითად დანარჩენ ხალხზე და რომლის სიტყვა-ქადაგებებს დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე, დღეს გაჩუმებულია და თავის სამწყსოს ზოგავით ალაგას ბევრად უკან ჩამორჩენილი გონებით და სწავლით...

რა გავლენა უნდა ექნეს ამისთანა სამღვდლოებას ხალხზე? როგორ უნდა დაარსდეს მან თავისი სამწყსო? როგორ უნდა მოეხმაროს იგი ხალხში კეთილწეობითი სწავლის გავრცელებას და როგორ უნდა შესარულოს მან მტკიცედ თავისი დიდი მოვალეობა? რამდენი ამგვარი კითხვები ტრიალებენ ჩვენს გონებაში...

ჩვენის აზრით, სასულიერო სალიტერატურო ყურნალო-გაზეთები ძლიერ დაეხმარებიან ამ შემთხვევაში სამღვდლოებას და გაუაღებლობენ მათ თავისი დიდი მოვალეობის აღსრულებას.

აწუკო დროში, რომელიც იწოდება წარმატების დროდ, ყველანი უნდა გრძნობდნენ, ღვთისაგან დაეცულ ჩვენ საქართველოში დრო და დრო სასულიეროსა ყურნალის, ანუ გაზეთის გამოცემის საჭიროებას ქართულს ენაზე. ეს აზრი და საჭიროება, გაღის აგერ ათი წელიწადი, განსვენებას არ გვაძლევდა და დღეს, მაღლობა ღმერთსა, ვეღირსეთ მის აღსრულებას. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენთან მრავალნი ჩვენნი თანამომენნი და ქრისტიანენიცა გრძნობენ სასულიერო ქართული ყურნალის ანუ გაზეთის გამოცემის საჭიროებას და დღის სიხარულით მიეგებებიან ამისთანა გამოცემას...

აი რასა ვსწერდით ჩვენ 1883 წელში, სხვათა შორის ამავე წელში გამოვსთქვიეთ ჩვენ, რომ ჩვენის მხრით ჩვენი ორგანოს არსებობისათვის არ დავზო-

გათ არც გონებას, არც ქონებას და არც სიცოცხლეს. აუტანელი და გამოუთქმელია ის ტანჯვა-წვალება, რომელიც ჩვენ წინ გველობებოდა და გველობება დღესაც, მაგრამ ვიდრემდის სული გვედმის არ ვუღალატებთ და უარს არ ვყოფთ პირველად გამოთქმულს ჩვენგან სიტყვებს. თუ სამღვდლოება ხელს მოჰკიდებს ორგანოს, ძმურად—ერთად შეერთებული ძალით თავს იღებს ორგანოს მიზნის აღსრულებას, რასაკვირველია, ჩვენთვის სასიამოვნო იქნება და უნად ვართ დავთანხმობთ და სამღვდლოებას ჩავბაროთ ჩვენთვის უძვირფასესი ამ ქვეყანაზე გამოცემა (შეწყება) იმ იმედით, რასაკვირველია, რომ ერთის პატრონის მიგვიერ მთელი სამღვდლოება გაუხდება პატრონად—მსახურად. სტამბაც მიუკლემფელი საჭიროთ იქნება სამღვდლოებისათვის როგორც გამოცემისათვის ისე, საღმრთო და საეკლესიო წერილის წიგნების ბეჭდვისათვის. ნუ დაივიწყებთ, მამანო, რომ შეთვრამეტე საუკუნის დასასრულს საღმრთო წერილის წიგნები იმეჭვებოდა ქუთაისში და საჩხერეში. დღეს ჩვენ ისე დავკინდით, რომ სტამბებიც აღარ გვაქვს და სხვას ვებფენებით, როგორც ბავშვები, წიგნების ბეჭდვას...

მთელმა კრებამ გულით მაღლობა გამოუცხადა დეკ. დ. ლამბაშიძეს იმისთვის, რომ თავისი გამოცემა დაუთმო სამღვდლოებას. ამასთან აირჩიეს კომისია კათედრის დეკ. გაბრიელ ევაგრიეშვილის თავმჯდომარეობით, მთავარ-ანგელოსთ ეკლესიის წინამძღვარი დეკ. კ. კეკელიძე, მღვ. მ. კელენჯერიძე, მღვ. სიმონ მჭედლოძე, მღვ. ს. ლეკვიეშვილი და მათი-კაშვილი, რომელთაც დაავალეს მიღება ორგანოს თავის სტამბით მკოდნე პირთა შეფასებით.

ღღემდის კომისიას არავითარი განკარგულება არ მოუხდენია. იმედი აქვს სამღვდლოებას, რომ გამოცემის საქმე კარგად წავა, ვინაიდან ეხლავე კომისიაში მონაწილეობას იღებენ საშნი პირნი, რომელნიც აკადემიის კანდიდატები არიან და თვითეულ მათგანს სალიტერატურო ასპარეზი სასიამოვნო საშრომლად უნდა მიანდეთ.

დამსწერე.



დღევანდელი საპირობანი

მინისტრთა საბჭოში გაცხარებული მუშაობაა. გაზეთების აზრით, სექტემბრამდე მოწვეულ იქნებიან ხალხის წარმომადგენელნი. ამის გამო ივნისშივე მოვილიან შესაფერ სახელმწიფო აქტს. მანამდის კი ყველა მოსამზადებელი მუშაობა საბჭოში დასრულებულ უნდა იქნეს.

ჩვენთვის ჯერ ცხადი არ არის, თუ სახელმწიფოს განახლება-გადახალისებას რა კანონები დაედება სარჩულად. ჯერ არ ვიცით, ხალხის წარმომადგენელთა კრება რა უფლებით შეიმოსება, ან სახელმწიფო საბჭოს რა ფუნქცია მიენიჭება. ეს კი ცხადია ჩვენთვის, რომ ხალხის წარმომადგენლობა იმ საფუძველზედაც რომ დამყარდეს, როგორც ეს სლავიანოვოლებს უნდოდათ, მაინც ვერ შეურიგდება ადმინისტრაციის აღვი-წახსნილობას და მის მიერ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შევიწროება-შეკეცვას.

ისიც კარგად გვესმის, რომ სანამ მწერლობა საცენზურო მუხრატუში იქნება, სანამ სინდისი და აზრი იღვენება, სანამ იდეალისადმი ტრფიალი პოლიტიკურად დანაშაულობად ირიცხება, ქვეყნის საარჩევნო საქმისათვის მომზადება ვერ შესძლებს. თუ მართლა არჩევნები სექტემბრამდე უნდა მოხდეს, ახლავე უნდა მზადება, ახლავე უნდა თადარიგი. საჭიროა, რომ შეგნებულს ელემენტებს ახლავე მიენიჭოს თავისუფალი გზა ხალხის გულისკენ... საჭიროა, ხალხს ახლავე გარკვეული ჰქონდეს საარჩევნო უფლების ძალა და აზრი, მისი ღიადი მნიშვნელობა.

ხალხმა იცის მხოლოდ, რომ მოქალაქობრივი უფლება ესაჭიროება, რომ მის გულის ნადებსა და მისწრაფებასაც თავსუფალი გზა უნდა გავხსნას, მაგრამ მისთვის გაურკვეველია, რაში უნდა მოიხმაროს ეს უფლება, როგორ გამოიყენოს იგი საქვეყნო მართვა-გამგეობისათვის, რას მიაქციოს ყურადღება, რა დააკანონოს და რა დაჰგმოს ამ გართულებულ ბიუროკრატიულ ობობას ქსელივით გახლართულ წესწყობილებაში. რა სისტემა უნდა შემოიღოს ხარჯთ-აღრიცხვისა, ხარჯების გაწერისა, როგორ მოაწესრიგოს კონტროლი, რა დამოკიდებულება და განწყობილება დაამყაროს სახელმწიფოს სხვადასხვა ერთა შორის, როგორ მოაირიგოს მათი

განსაკუთრებული მოთხოვნილება-საჭიროებანი, რა ყალიბში ჩააყენოს სასკოლო საქმე, როგორ შემოფარგლოს ეკლესიის უფლება და დანიშნულება, რა დაუდოს სარჩულად ხალხის შეიარაღებასა და ჯარში გაწვევას, როგორი განწყობილება განაწესოს სხვა-და-სხვა წოდებთა შორის, როგორს პოლიტიკის დაადგეს გარეშე საქმეებში, სამრეწველო სამეურნეო საქითებს როგორ ჩაუდგეს კვლში ჭ ათასი სხვა...

ამისათვის აუცილებელად საჭიროა, რომ შეგნებულს ელემენტებს ახლავე გზა ხსნილი ჰქონდეთ საკითხების თავისუფალის განმარტებისა, კრებებისა და სხ.; საჭიროა წიგნაკები, ფურცლები, ცოცხალი საუბარი ხალხთან, ლიტერატურაში აზრთა გაზიარება და სხ. ამისათვის კი უპირველესად საჭიროა: ცენზურის მიერ საუკუნეებით აგებული კედლები დაინგრეს, რომ მწერლობამაც შესძლოს თავისუფალი ხმა მიაწვდინოს ხალხს...

საჭიროა ძირიან-ფესვიან აღმოიფხვრეს ის ძალიან მზობა ადმინისტრაციისა, რის მაგალითიც დღესაც კი, როდესაც პეტერგოფში მეფის წინ წამდარი იყო ერობათა დეპუტაცია; პეტერბურგში მასწავლებელთა და ხელისანთა კრებები აკრძალეს და ამსწრის განთავებულად გაჰფანტეს. სანამ 18 თებერვლს ემოცემული მეფის ბრძანება ხანინს-ტროს მიმართ არ აკანონებდა ამისთანა კრებებს?!

მაგრამ ბიუროკრატია და ადმინისტრაცია ძველს ტრადიციებს ვერ ჩამოსცილებია, ძველებურს ბატონობასა და პარაზობას ვერ შეძლებია...

ღრო არის, ღრო!.. (რ. ვ.—ივ.)

უპირის თქმა თანამდებობაზე

16 ივნისს, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიის სახლში სხდომა ჰქონდა საეკლესიო სკოლათა ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს ტფილისის სამაზრო განყოფილებას, მღვ. ცინცაძის თავმჯდომარეობით.

სხვა მიმდინარე საქმეთა შორის, განყოფილებამ აღნიშნა სრული თავისი უუფლებლობა, რომელიც შეჰქმნეს საეპარქიო და საოლქო საბჭოებმა. უმაღ-

ლესად დამტკიცებულ წესდების ძალით, როგორც განყოფილების, ისე სკოლის გამგეს უფლება აქვთ მასწავლებლის თავისუფალ ადგილზე კანდიდატი წარადგინონ. ამ ორი წლის წინად (1903 წ.) საეპარქიო საბჭომ სკოლის გამგესა და განყოფილებას ეს უფლება ჩამოართვა და გადასცა განყოფილებასთან დაარსებულს, 3—4 კაცისაგან შემდგარს, სასკოლო კომისიას. განყოფილებამ იმ წელსვე პროტესტი გამოუცხადა საბჭოს, მაგრამ პასუხად მიიღო: მსჯელობა თქვენი საქმე არ არის, თქვენ მხოლოდ უნდა აასრულოთ, რაც მოგწეროთო». განყოფილება იმ პასუხით მოითმინა და გაიშინა იმ იმედით, რომ მასთან დაარსებულს კომისიას მაინც აღარაიქნება წართმევედა კანდიდატებისა და წარდგენის უფლებას.

მაგრამ საქმით სულ სხვა აღმოჩნდა. საბჭო განყოფილების წარდგინებას არ უტყდიდა, როგორც კი გაიგებდა, ამა და ამ სკოლაში მასწავლებლის ადგილი დაკლილათ, იმ წუთსვე თავის საკუთარ კანდიდატს ნიშნავდა და განყოფილებას მხოლოდ შემდეგ შეატყობინებდა. ასევე იქცეოდა საბჭო მასწავლებლების დათხოვნისა და გადაყვან-გაღმარების საქმეში. მარტო 1904 წლის განმავლობაში 16—18 ისეთი შემთხვევა ყოფილა, როცა საბჭოს, განყოფილებისა და ადგილობრივ მდებარის დაუკითხავად, დაუთხოვნია, გადაუყვანია და ახალი მასწავლებელი დაუნიშნავს. ასევე იქცეოდა საბჭო და საბჭოს ორგანო საეპარქიო მეთვალყურე ამ 1905 წლის განმავლობაშიაც. ერთის სიტყვით, ადგილობრივი ელემენტი (თუნდ იმავ სკოლას გამგე მღვდლის სახით) დღეს სრულიად განდევნილია თვით ისეთ დიდ-მნიშვნელოვან სახედავგოგო საქმედანიკი, როგორცაა ახალი მასწავლებლის დანიშვნა, დათხოვნა ან სხვაგან გადაყვანა. რა თქმა უნდა, ეს ანორმალური მდგომარეობა, რომელშიაც სამსახური არც ერთ შემგნებელ ადამიანს არ შეუძლიან.

ამას დიდი ხანია ჰგრძობდნენ ზემოდ აღნიშნულ განყოფილების წევრნი და, აი, გუშინწინ ხმის დიდის უმეტესობით (შეიღმა ერთის წინააღმდეგ*) გადასწყვიტეს: განყოფილებაში სამსახურს თავი დაანებონ, რაზედაც საბჭოს ოქმით მოხსენება წარუდგინონ. (ივ.)

რა ბედი მოვლის პრემსა?

მინიჭება თუ არა პრემსა თავისუფლება, შეეძლება თუ არა გამოსთქვას ყოველი თავისი აზრი, თუ ისევ ძველებურად ბიუროკრატიის ცირკულიარებს უნდა დაემორჩილოს, ბიუროკრატიის ყოველი სურვილი, ყოველი ბრძანება უნდა აასრულოს მოჩილი?

თასი სხვა-და-სხვა ცირკულიარი ხუთავს პრემსის თავისუფლებას, ამხინჯებს მწერლის აზრს, ნემას არ აძლევს იდეალები გამოსთქვას აშკარად...

საცნებურო კანონები მოძველდა, აღარ შეეფერება ახლანდელ ცხოვრებას... იძულებული ვართ, ახლა ვიყოთ გაიზრებული, როდესაც ბრძოლი გვედგება გულზე, როდესაც ყოველი პატროსანი ადამიანი და მოქალაქე ვალდებულია ხმა-მალა იყვიროს, ვინა იღან დაღდა ისეთი დრო, რომ „ქვანიც კი აღაღაღდნენ“..

იძულებული ვართ არაკები, ზღაპრები მოვიგონოთ აზრის გამოსათქმელად, შედარებით გამოცხატოთ, მის, რაც სათქმელი გვაქვს, კანონის ერთ-გულად, მისსავე მორჩილად მოვაჩვენოთ თავი, მაშინ, როდესაც ძველი წყობილება ირღვევა, როდესაც ახალი ძალები იმარჯვებენ და თავისუფლებისაკენ გზას უკაფავენ საზოგადოებას... როდესაც ეს კანონები უკვე უარყო... ცხოვრებამ...

მაშ რა ბედი მოვლის პრემსა?

არის ხშირად ისეთი ხანა, რომ სულითა და გულით ენატრება ადამიანს მომავლის გაგება, როდესაც გაურკვევლობას ვერ იტანს ვერაფერი...

ასეთი ხანაა ჩვენში, — ყოველ მხრივ შევიწროებული, ხელ-ფეხ შებორკილი, ყოველ თავისუფლებას მოკლებული ადამიანი იბრძვის მომავლისათვის, იბრძვის, რომ დამყარდეს ახალი წყობილება რუსეთში (ნ. ქ.).

ხალხი და სახელმწიფო ბიუჯეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხს მალე, ძალიან მალე მთელი საზოგადოება ძალაუფლებურად ყურადღებას მიაქცევს, როდესაც ხალხი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობას იკისრებს, როდესაც ადა-

*) ეს ერთი (რუსია) პრინციპიალურად თანახმა იყო სამსახურის თავის დანებებისა. მხოლოდ — ვერ უსცალოთ, იქნება უფლებანი დაგვიბრუნებოთ, — და თუ უარს მივიღებთ, მაშინ გავიღებთ სამსახურიდანო.



მიანი ყოველ უკანასკნელ პოლიციელის ყურ-მოკრილი მონა აღარ იქნება... მას ცოტადენი თავისუფლება მიენიჭება,—მაშინვე მისი გადასაწყვეტი შეიქმნება მთავარი საკითხი,—როგორ უნდა გადაჩვენს გაკოტრებას რუსეთი?..

პირველ შეხედვით, ეს საკითხი არაა საშინო, და, აღბაღ, იმიტომ არის, რომ ამჟამად ჯერ კიდევ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მას საზოგადოება. გაკვირვებით იხსენიებენ ხოლმე ამ ფინანსებს და არ იციან, რომ დიდი შრომა და მეცადინეობა არის საჭირო ერთხელვე აწეწილ ფინანსების მოსაწყობრებად. მოისპობა ახლანდელი უფუფლებლობა, ძარცვა-გლეჯა, ხალხის დამონება, გამათრახება და ხალხი თვითონ შეიქმნება თავისი მატონი.

აი, მაშინ გამოჩნდება, თუ რა მდგომარეობაშია რუსეთის სახელმწიფოს ფინანსები... საშინელი სურათი იქმნება. ხალხის წარმომადგენლები დინახავენ აშკარად ერთის მხრივ ქონებრივად საშინლად შევიწროვებულ ხალხს და მეორეს მხრივ კი—სახელმწიფო ვალს... რამოდენიმე მილიარდი ეს ვალი... ხუთი, რვა, ათი მილიარდი მანეთი... ყველა ხალხის გადასახადებზე, ისედაც გადატყვებულ ხალხის კისრიდან ასადები...

ახლავე ამბობენ უცხოელები რუსებზე: «ჩვენი იმედი ნულარ გექნებათო. ყველასათვის ცხადი შეიქნება, რომ აღარა ხართ სანდონიო.

ამნაირ პირობებში ყოველი ვაჭარი «კოტრდება», ძნელი ხდება ვალების გადახდა, მისი თამასუქი აღარ გადის და ამიტომ იგი იძულებული ხდება მთელი თავისი ქონება გადასდოს ვალების გადასახდელად.

რუსეთისთვის ეს ხომ პირველი არ არის! ერთხელ, მაინც ხომ თავის მანათში მხოლოდ 2 მ კაპ. გადაიხდა, მაგრამ მაშინ ვალთში მიდიოდა ყოველ წლიურად 100 მილიონი მანეთი,—ახლა კი?..

ამი რომ დასრულდება, ას მილიონის მადევირად ყოველ წლიურად ერთი მილიარდი მანათი იქნება გადასახდელი.

ეს მილიარდი უნდა გადაიხადოს ხალხმა, რომელიც ქონებრივად სულ გაკოტრებულია.

ვინ უნდა მოაწყობოს ეს საქმე? ბიუროკრატიაში, რომელიც მხოლოდ ახალ თანადგობას ჰქმნის, რამდენიმე უმატებს თავის ერთგულებს? არა! ხალხმა უნდა იცოდეს, სად მიდის მისი ფული,

რახე იხარჯება მისი ნაოფლარი, უნდა იცოდეს ახლავე, უნდა იცოდეს უთუოდ!

საჭიროა ხალხმა შეიტყოს, რომ გარდასახადის სახით შეგროვილი ფული ხშირად თვით ხალხის დამონებაზე იხარჯება.

რა საჭიროა, ნიღაბი... გამოჩნდეს ამ ნიღაბის ქვეშ ბიუროკრატის ნამდვილი სახე, საშინელი, შემადარწმუნებელი...

აი, მაშინ გაიგებს ხალხი, თუ სად არის მისი ნამდვილი მტერი... (6.) (ივ.)

მუხრან-ვახუშტის დან.

მანუქრანაშა. ტოკიოდან რეიტერის სააგენტოს დებეშით ატყობინებენ: ამჟამად იაპონიის დიდი ქალაქი ჯარებით სავსეა. ჯარს განუწყვეტლივ გზავნიან ბრძოლის ველზე (რ. ს.).

მოკვდიან ადგილი ტელეგრაფს დებეშით ატყობინებენ: მანჯურიისი დიდი წვიმები დაიწყო. გზები გაფუჭებულია, მდინარეები აღიდნენ. ამისა და მიუხედავად, იაპონელები მაინც წინ მიიწევენ, რუსებს კი მოძრაობა ძალიან უჭირთ. მიზეზი ის არის, რომ იაპონიის ჯარს მსუბუქი ქარავანი მისდევს, სალდათს კი სულ ოციოდ გირვანქა ბარგი ჰკლავს. რუსებს საშინლად მძიმე და გაუხეშავი ქარავანი აქვთ, თითო სალდათს კი 3 ფუთი ბარგი ჰკლავს.

მიწენკოს კახაკებს, რომელსაც მთელი რუსეთი იმდენს აქებდა, რომ მთელ ქვეყანას ყურები გამოუქუდა, ომის ბედი დასციენის. თუმცა კახაკებს სამ იენის დიდი მასველი რაში მოუვიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც წინა დღეებში იაპონელებმა დღე დააყენეს, კახაკებს ბრძოლა როგორაც ქუქაში არ მოსდით.

რუსებს ძალიან შორს აქვთ მთავარი საწყობები სურსათისა და ამიტომ საკმელს ჯარს დროზე ვერ აწვდიან. ჯარი განუწყვეტლივ სინტეტში იმყოფება. ავამდეყოფა გახშირდა.

ჩავა. „ნ. ფრ. პრ.“-ს აზრით, ევროპაში აღარ სჯერათ ზავის მოახლოვება. ყველას უნდა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდეს,—სწერს ვენური გაზეთი,—მაგრამ თითქმის არავის სჯერა, რომ ახლო მომავალში ეს შესაძლებელი იყოს.



ზავის იმედი არც ამერიკაში ჰქონიათ. ზებრ-ლინერ ლოკალ ანტიავიგრა-ს ვაშინგტონიდან დე-პუშით ატყობინებენ: ეხლა კი ცხადია, რომ დროე-ბით მორიგება არ მოხდება. იაპონია მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება დროებით მორიგებაზე, თუ რუსეთმა მოითხოვა იგი, მაგრამ არც რუსეთსა სურს ომის დროებით შეჩერება. ამერიკელები ამბო-ბენ, როგორც ეტყობა, რუსეთს გადაწყვეტილი აქვს ომი რამდენიმე წლით გააქიანუროს და იაპონია მოლალოსო, მაგრამ,—უმატებენ ამერიკელები,— რუსეთის ბიუროკრატია ცეცხლს ეთამაშება: ბიუ-როკრატიაში შინ უმკვლეად დამარცხდებიან, იაპო-ნია კი კორეასა და მანჯურის ვარა სახალისად წაართმევს, ვლადივოსტოკასც, ამურის ოლქსაც და კონტრიბუციასაც.

ბიუროკრატის მძაფრდება. *«ეურნალ»*-ს პე-ტერბურგიდან დეპუშით ატყობინებენ: ბიუროკრატია შემინებულა, ვაი თუ მართლა იაპონიის ფლოტი ბალტიის ზღვაში გაჩნდეს და წინდაწინვე ემზადება იმის დასახვედრად. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აღმ. კავკასიის ფლოტს ბალტიის ზღვაში რუსეთი ვერც რომ ხეირიან გემს ვერ დაახვედრებს. ეგ არის, ზღვის ნაპირა პორტებს—კონსტანსა, რველსა და ოდიშავას ამაგრებსო (რ. ს.).

ამიერიდან ალექსეევს უთქვამს *«სლოვა»*-ს თა-ნაშრომლისათვის: რუსეთის მხრით უდიდესი შეე-დომა იქნება სახალისის დათმობა. იმით რუსეთის სამუდამოდ მოესპობა წყნარ-ოკეანეში გასასვლელი გზა. მეორე მხრით, სახალისი უმდიდრესი კუნძულია, რუსეთი ძალიან შეეცდა, რომ იქ კატარგა გამართა, მოწყველობის განვითარებას კი უკრალდება არ ბი-აქციაო. ამას ფრანგული გაზეთი *«ეურნალ»*-ი შე-ნიშნავს: ყველა კარგი, მართალია, მაგრამ ცოტა... ნაკვიანებია. სად იყავით დღემდის,—ეკითხება ალექ-სეევს გაზეთი და უმატებს: ძალიან თივაზე წვევს, არც თითონ სკუმს, არც სხეას ანებებსო. თქვენ, რუსებსაც, ავრე დავემართათ. ეხლა კი მაგაზე ლი-პარაკი გვიანაა, რადგან იაპონია სახალისს არ მოითხოვს, არამედ ძალით აიღებს და ისე დაისა-კუთრებს, როგორც თქვენ, რუსებმა დაისაკუთრეთო (სახალისი უწინ იაპონელებს ეკუთვნოდა). თქვენ კმურის ოლქს გაუფრთხილდით, თორემ სახალისის საქმე წასულიაო,—აფრთხილებს რუსეთს ზემოხსე-ნებული გაზეთი (რ. ვ.).

ას:ლი ამბები და შენიშვნები.

* 17 ივნისს, რკინის გზის სახელოსნოების მუშათა ერთი ჯგუფი კავკასიის ნამესტნიკთან იყო და სთხოვა, დაეფიქრათ როგორცა, თორემ სახე-ლოსნოებში მუშაობა აღარ შეგვიძლიანო.

* საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაბუემა გუშინ ქა-ლაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება ტფილისში ქალაქის მილიციის დაარსების შესახებ. ხმოსანი სწერს: ამ ბოლო დროს ტფილისში გაჩნდა ხელი-განათა დასი და პირადობის ხელუხლებლობის უზრუნ-ველსაყოფელად საჭიროა მილიციის დაარსებაო. ამ მოხსენებას საბჭო განიხილავს.

✓ 17 ივნისს, ტფილისიდან პეტერბურგს წავიდ-ნენ საქართველოს ეგზარხოსი ალექსი და ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ნიკანდრი. ეგზარ-ხოსის თანამდებობას შეასრულებს გორის ეპისკო-პოსი ექვთიმე, ხოლო აქ. ნიკანდრმა საქმეები ჩააბარა სემინარიის ინსპექტორს დობრონაროვს, რომელიც დროებით რექტორის თანამდებობას შე-ასრულებს. როგორც *«კავ.»*-ს გუშინდელი ნომერი გადმოგვცემს, სემინარიის რექტორად უკვე დაუნი-შნაით ტფილისის სასულიერო ზასწავლებლის ზედა-მხედველი მღვ. ბუტირსკი, ხოლო სასწავლებლის ზედამხედველად მასწავლებელი ივ. გრეკოვი.

* როგორც გავიგეთ, ტფ. სასულიერო სემი-ნარიის იმ მოწიფეებს, რომელნიც მოწვეულნი იყე-ნენ სემინარიის მთავრობის მიერ სწავლის განსაგრ-ძობად, მაგრამ გამოცხადებითი არ გამოცხადდნენ, ხელმოკრედ გადავზავნეს ნოსაწვევი ქალაქებში, რომ გამოცხადდნენ, სახელმძღვან. მიიღონ და ავკისტოში შემდეგელსებში გადასასვლელი ეგზამენები დაიჭირონ. რამდენიმე მოსწავლე კიდევაც გამოცხადდა და მი-იღო სახლმძღვანელოები. ის მოსწავლეები კი, რომელ-ნიც დათხოვნილნი იყვნენ, ისევ უნუჯგუშო მდგომარ-ეობაში რჩებიან. საკვირველი ის არის ამ შემთხ-ვევაში, რომ გუშინ სამღვდლოების კრებამ გადას-წვევითა სემინარია დაიხუროსო და დღეს კი იგივე მღვდლები თხოვნას თხოვანაზე ალვევდნენ სემინარიის მთავრობას, ზეენ შეიღობა უკანვე მიიღეთო.

